გიზგიზებს სპარტაკიადების ცეცხლი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 103 (5393)

1975 წ. 25 მაისი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

სპარტაკიადის მძლავრი ნაბიჯები

მინსკი, ალმა-ათა, თბილისი (ქალაქების გუნდების ასპარეზობა), რუსეთის ფედერაცია, უკრაინა და მოსკოვი (მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის შეჯიბრებები), „დინამო", შეიარაღებული ძალები და „ბურევესტნიკი" (საზოგადოებები და უწყებები) — აი, სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის ლიდერები 22 მაისისთვის.

მაგრამ ეს სრულიადაც არ არის მთავარი წლევანდელი სპარტაკიადის მსვლელობაში, რომლის ფინალური შეჯიბრებებიც ჯერ კიდევ გრძელდება. სპარტაკიადის მთავარ მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს საბჭოთა ქვეყანაში მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი განვითარება, მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდა, ათლეტთა ოსტატობის ამაღლება.

აი, უკვე ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: დღეისთვის სასპარტაკიადო შეჯიბრებებში მონაწილეობა მიღებული აქვს 80 მილიონამდე ადამიანს. შეგახსენებთ, რომ წინა სპარტაკიადაში 44 მილიონი მონაწილეობდა.

1974-1975 წლების სპარტაკიადის ჩატარება სწორედ ასეთი მასშტაბებით იყო გათვალისწინებული. შეჯიბრების პროგრამაში 40-ზე მეტი სახეობა შედის. 25 მასობრივ სახეობასთან, მსდ კომპლექსით გათვალისწინებულ შეჯიბრებებთან და ეროვნულ თამაშობებთან ერთად ასპარეზობები ტარდება 15 სამხედრო-ტექნიკურ სახეობაში.

ორი წლის მანძილზე ტარდებოდა სპარტაკიადის პირველი ყველაზე მასობრივი ეტაპი: შეჯიბრებები საამქროებსა და განყოფილებებში, კლასებსა და ბრიგადებში, ფაკულტეტებზე, ფიზიკური კულტურის კოლექტივებსა და დოსააფის პირველადს ორგანიზაციებში, სპორტულ და სპორტულ-ტექნიკურ კლუბებში, მშრომელთა საცხოვრებელ ადგილებში. ეს შეჯიბრებები ცალკეული ნაკადულებივით შეუერთდა მეორე ეტაპზე რაიონებისა და ქალაქების „სასპარტაკიადო მდინარეს", მესამე ეტაპზე — ოლქების, მხარეების, ავტონომიური რესპუბლიკების, რსფსრ-ს ზონების, მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის შეჯიბრებებს... ახლა ტარდება მეოთხე დასკვნითი ეტაპი — საბჭოთა სპორტის უმაღლეს მიღწევათა დათვალიერება, 1976 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის სსრ კავშირის ათლეტთა მზადყოფნის შემოწმება.

დიდებულია სპარტაკიადის საფინიშო მარშრუტი. იგი 28 ქალაქს გაივლის აშხაბადიდან ტერნოპოლამდე, ტალინიდან ბაქომდე... ესეც თვალუწვდენელ საბჭოთა ქვეყანაში სპორტის შემდგომი პოპულარიზაციის მიზნით კეთდება. აი, ერთი ნათელი მაგალითი: თურქმენეთში მშვილდოსნობა სპორტის მოწინავე სახეობად სულაც არ ითვლებოდა. ახლა კი, მას შემდეგ, რაც აშხაბადს დაეკისრა მშვილდოსანთა ფინალური სასპარტაკიადო ტურნირის ჩატარება, რესპუბლიკაში უკვე გამოჩნდნენ ამ სახეობის ოსტატები და მოეწყო სპეციალური სტადიონიც, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაც თამამად შეიძლება. სასიხარულოა ისიც, რომ სარბიელზე მარტო სახელგანთქმული ჩემპიონები არ გამოდიან. მაგალითად, ტაშკენტში მოკრივეთა შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შორის იყო 18 წლის მაგადანელი ვ. რიბაკოვი.

მოსკოვში წყალბურთელთა შეჯიბრებაში სასიამოვნო სენსაცია მოახდინა უზბეკეთის გუნდმა, რომელიც საკავშირო შეჯიბრებათა ისტორიაში პირველად მოხვდა ექვს საუკეთესო კოლექტივს შორის. ტაშკენტელმა ბიჭებმა თავდაპირველად მსდ კომპლექსით დაიწყეს, შემდეგ კი გადაწყვიტეს კიდევ უფრო სერიოზულად მოჰკიდებოდნენ საქმეს. ჯერ შეიქმნა ცურვის სექცია, შემდეგ წყალბურთისა. პირველი წარმატება 1973 წელს ახალგაზრდულ საკავშირო თამაშებში იზეიმეს. და აი, გუშინდელი იუნიორები დღეს წარმატებით გამოდიან სპარტაკიადის სარბიელზე...

უკან დარჩა ჯერ მხოლოდ სამი ფინალი, ხოლო სასპარტაკიადო მედლები უკვე ათობით ქალაქში გაიგზავნა. და არა მარტო ქალაქში. აშხაბადის მშვილდოსანთა ტურნირში ბრწყინვალედ გამოვიდა ჩიტის ოლქის წარმომადგენელი, 17 წლის ვ. ეშეევი. მან აშხაბადიდან ბრინჯაოს მედალი წაიღო მშობლიურ სოფელ ნოვაია ზარიაში.

სპარტაკიადა კიდევ ბევრ სასიხარულო სიურპრიზს შემოგვთავაზებს. შემდეგი ფინალური შეჯიბრებები დღეს დაიწყება დუშანბეში. ტაჯიკეთის დედაქალაქში ჩატარდება წყალში მხტომელთა ტურნირი, შემდეგ ესტაფეტას მიიღებენ ერევანი, ტალინი, ფრუნზე, მინსკი, თბილისი, რიგა, ბაქო... ფინალები მოეწყობა ივნისში, ივლისში, აგვისტოში. (საქდესი).

სნაიპერები სად იყვნენ?

სოხუმი, 24 მაისი (ტელეფონით). ეშერის „დინამოს" სასროლეთზე საერთაშორისო შეჯიბრების ესტაფეტა საქართველოს სპარტაკიადის მონაწილეებმა მიიღეს. სამწუხაროდ, საბრძოლველად შეიკრიბნენ მხოლოდ აჭარის, აფხაზეთის, თბილისისა და ქუთაისის გუნდები, აგრეთვე, გორის რამდენიმე სპორტსმენი. თითოეულ გუნდს ყოველ ვარჯიშში ორ-ორი სპორტსმენი გამოჰყავს.

გუნდების ასეთი სიმცირე ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში ტყვიის სროლის განვითარებას კვლავ არ ეთმობა სათანადო ყურადღება. შესაძლოა სხვა ქალაქებმა სრული გუნდები ვერ გამოიყვანონ, მაგრამ გორელებივით რამდენიმე სპორტსმენის გამოგზავნაც ხომ წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა?

გუშინ გაიმართა შეჯიბრება პირველ ვარჯიშში — მცირეკალიბრიანი შაშხანის წოლელა 60 გასროლაში. გამარჯვება მოიპოვა თბილისელმა სპორტის ოსტატმა ა. შამეკომ („კოლმეურნე"), რომელმაც 592 ქულა მოაგროვა. მას ქულით ჩამორჩა აჭარის დინამოელი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ს. წულუკიძე. III ადგილზეა ქუთაისელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი ა. ვაჩიბერიძე.

გუნდურ ჩათვლაში თბილისელებს 10 ქულა დაუგროვდათ და I ადგილზე არიან. II ადგილზეა აჭარის ნაკრები — 6 ქულა, III — ქუთაისის გუნდი — 4.

თამაზ ლეკიშვილი,
საქართველოს ნაკრების უფროსი.

* * *

სურათზე: ა. შამეკო ცეცხლის ხაზზე.

ო. გელაშვილის ფოტო.

პარდუბიცეს, ლოძისა და ეშერის გავლით — კიევში

„ლელოს" ინტერვიუ

42-ე საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ თითქოს ჩაკვდა საბჭოთა ქვეყნის საკალათბურთო ცხოვრება. უფრო სწორად, გუნდები „არალეგალურ მდგომარეობაში" გადავიდნენ და დაიწყეს გულმოდგინე მზადება ხალხთა VI სპარტაკიადისთვის. ამ სამზადისის ფორმა სხვადასხვაგვარია. ზოგი კოლექტივი მხოლოდ ვარჯიშობს, ზოგი რომელიმე ტურნირში მონაწილეობს, ერთ-ორ გუნდს საზღვარგარეთ წასვლა მოუხდა, მაგრამ ისე, რომ შეჯიბრების დღეები აქტიური დასვენების პერიოდს დაემთხვა. ერთი სიტყვით, ყველა თავისი გზით მიდის ერთი მიზნისკენ, რომელსაც VI სპარტაკიადის ფინალური ტურნირი ჰქვია.

თბილისის „დინამოსთვის" ამ დიდი სამზადისის ერთი ეტაპი იყო პარდუბიცეს საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ფაშისტურ გერმანიასთან ომში გამარჯვების 30 წლისთავს მიეძღვნა. ამ ტურნირში მონაწილეობა თავისთავად სახალისოც იყო და სასარგებლოც, მაგრამ, გარდა ამისა, თბილისის „დინამოს" ზოგიერთ მეტოქესთან ძველი ანგარიში ჰქონდა გასასწორებელი.

კალათბურთის გულშემატკივრებს ალბათ ახსოვთ, რომ შარშან თბილისის დინამოელები სპორტის სასახლეში ბუქარესტელმა თანაგუნდელებმა დაამარცხეს. წლეულს რევანშის აღების შესაძლებლობა გაჩნდა. იყო კიდევ ერთი მეტოქე, რომელთანაც ჩვენი გუნდი ვალში დარჩენილი აღმოჩნდა. 1968 წელს ვენაში თბილისის „დინამომ" ევროპის ქვეყნების თასების

(დასასრული მე-4 გვ.).

* * *

PANSKÁ MODA
POZEMNI STAVBY PARDUBICE
podnik bytové a občanské výstavby

სურათზე: თბილისის „დინამო" — პარდუბიცეს ტურნირის ჩემპიონი. პირველ რიგში (მარცხნიდან) — ი. ძიძიგური, ნ. ქორქია, ლ. ჩხიკვაძე, თ. ჩიხლაძე; დგანან — ბ. ბოლქვაძე, ვ. ჯგერენაია, ზ. ქარაბაკი, გ. ბიჭიაშვილი, ი. ნარიმანიძე, გუნდის უფროსი მწვრთნელი ლ. მოსეშვილი და ი. პულავსკი.

კავილაძის დუბლი

პერსპექტიულ ბადმინტონისტთა მთელი ნაკადი გამოავლინა არმიის სპორტკლუბის დარბაზში ჩატარებულმა შეჯიბრებამ თბილისის პირველობაზე, რომელიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს მიეძღვნა.

შეჯიბრების მონაწილე საშუალო და უფროსი ასაკის სპორტსმენებიდან პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ 57-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე ი. კავილაძე. ამ ჭაბუკმა აგრესიული სტილით ჩაატარა ყველა შეხვედრა და ფინალში შარშანდელი ჩემპიონი მ. დანილოვი დაამარცხა ანგარიშით 2:0 (15:10, 15:12). ახალგაზრდა სპორტსმენის წარმატება მით უფრო აღსანიშნავია, რომ იგი შარშანდელ ჩემპიონატში მეორე ათეულში იყო.

წყვილთა შეჯიბრებაში კავილაძესთან ერთად საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა 1-ლი გახანგრძლივებული სკოლის VIII კლასის მოსწავლე ვ. ქარბაძე. ეს ორი ნიჭიერი სპორტსმენი მხოლოდ ერთი წელია მეცადინეობს უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 3 სკოლაში. მათი წინსვლა უდავოდ მწვრთნელ გ. დავიდოვის დამსახურებაცაა.

გოგონათა შორის საპრიზო ადგილები მე-80 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ა. ნაცვლიშვილმა, ა. ხალატოვამ და ვ. ქსოვრელმა გაინაწილეს. უნდა დავასახელოთ 130-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე თ. მეტრეველიც, რომელმაც IV ადგილი დაიკავა და მოძრავი, ტექნიკური თამაშით დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა.

შერეულ წყვილთა შორის გაიმარჯვეს ა. ნაცვლიშვილმა და მ. დანილოვმა.

გ. სამსონაძე,
საქართველოს ბადმინტონის ფედერაციის თავმჯდომარე.

● **ოსაკა, 23 მაისი.** სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა იაპონიაში თავისი ტურნეს მესამე მატჩი აქ გამართა და ისიც მოუგო მასპინძელი ქვეყნის ეროვნულ გუნდს. შეხვედრის ანგარიშია 3:1 (15:11, 11:15, 15:10, 15:13). საბჭოთა სპორტსმენები ბოლო მატჩს ტოკიოში ჩაატარებენ 25 მაისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალი თაობის ფიზიკური წრთობა ერის სიჯანსაღეა

✦ ✦ ✦

ნაყოფიერი 10 წელი

10 წელი შეუსრულდა საქართველოში პირველ სპეციალიზებულ სკოლას — თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატს, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის უნივერსიტეტის თაოსნობით შეიქმნა. სკოლის ბევრი კურსდამთავრებული ახლა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატია, უმრავლესობა კი — მათემატიკოსები, ფიზიკოსები, ინჟინრები — საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მოღვაწეობს. მარტო ბოლო ორი წლის 248 კურსდამთავრებულიდან 236 თბილისისა თუ მოსკოვის უნივერსიტეტებისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტია.

სკოლაში ახალგაზრდებს ცოდნას უღრმავებენ ისეთი სპეციალისტები, როგორიც არიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის უნივერსიტეტთან არსებული გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, პროფესორი თ. გეგელია, უნივერსიტეტის დოცენტები ა. ბენდუქიძე და მ. თხელიძე, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგები ქ. ქიქაჩეიშვილი, მ. დუმბაძე, ე. ხაჩიძე, მ. ბურდული...

მეცნიერული მათემატიკა და ფიზიკა საკმაოდ შორს დგას ჩვეულებრივი სასკოლო კურსისგან და ამ საგნების შესწავლაში ბავშვებს დიდ დახმარებას უწევენ დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოები. ეს სახელმძღვანელოები შეადგინა რესპუბლიკის მეცნიერთა ჯგუფმა. მათი თანაავტორია სკოლის დირექტორი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ვ. მელაძე, რომელიც 45 წელზე მეტია მათემატიკას ასწავლის.

სკოლის აღსაზრდელები გატაცებული არიან მუსიკით, სპორტით. საქართველოს სკოლა-ინტერნატების წლევანდელ ჩემპიონატში მომავალმა ფიზიკოსებმა და მათემატიკოსებმა პირველი ადგილები და ჩემპიონობა მოიპოვეს კალათბურთსა და ჭადრაკში.

— კალათბურთი, ჭადრაკი და მუსიკა ხელს უწყობს მათემატიკური აზროვნების, სისწრაფის, ჰარმონიისა და ლოგიკის განვითარებას ბავშვებში, — ამბობს ჭადრაკის წრის ხელმძღვანელი, სკოლის მეცნიერული საზოგადოების „შეფი", თბილისის უნივერსიტეტის კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის დოცენტი, ოსტატობის კანდიდატი, მრავალი საინტერესო საჭადრაკო კომპოზიციისა და ამოცანის ავტორი მ. თხელიძე.

ახლახან კარგი სწავლისთვის, საზოგადოებრივ საქმიანობასა და სპორტულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისთვის, მოსწავლეთა დიდი ჯგუფი კომკავშირის რიგებში მიიღეს. ამ სკოლის ბავშვები ერთ-ერთი პირველთაგანნი იყვნენ თბილისში, რომლებსაც საზეიმო ვითარებაში გადაეცათ კომკავშირის ახალი ნიმუშის ბილეთები.

ფ. კრიმსკი.

* * *

სურათებზე: ჭადრაკის წრის ხელმძღვანელი მ. თხელიძე ამეცადინებს ნორჩ მოჭადრაკეებს; სკოლა-ინტერნატის ნორჩი კალათბურთელები ვარჯიშის დროს.

ავტორის ფოტოები.

ზედიზედ მეორედ

ბათუმის „დინამოს" სტადიონზე ორ დღეს გრძელდებოდა საქართველოს მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. სარბიელზე გამოვიდნენ 1962-63 წლებში დაბადებული გოგონები და 1961-62 წლებში დაბადებული ბიჭები. ასპარეზობაში მონაწილეობდა აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის (2), ფოთის, მახარაძის, ქუთაისის, რუსთავის, სამტრედიის, ბორჯომის, ზუგდიდის, სხვა ქალაქებისა და რაიონების 360 მძლეოსანი.

შეჯიბრებას თავი აარიდეს აფხაზეთის ასსრ, გორის, ონის, დუშეთისა და საგარეჯოს რაიონების კოლექტივებმა. არადა, თითოეულ კოლექტივს სულ 6 ჭაბუკი და 6 გოგონა უნდა გამოეყვანა.

გუნდურ ჩათვლაში წარმატებით იასპარეზა აჭარის ნაკრებმა — 372 ქულა. ამ კოლექტივმა ზედიზედ მეორედ მოიპოვა უძლიერესის სახელი. II ადგილი დაიკავა ფოთის გუნდმა — 371,5, III — თბილისის პირველმა კოლექტივმა — 341. გაკვირვებას იწვევს თბილისელთა მარცხი. საქართველოს დედაქალაქში მოსწავლეთა შორის მომუშავე სპეციალისტებმა ხეირიანად ერთი 12-სპორტსმენიანი გუნდიც კი ვერ დააკომპლექტეს, არ ჰყავდათ ექვსჭიდელი, რის გამოც შეუფერებელ ადგილზე აღმოჩნდნენ.

გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები:

გოგონები. რბენა. 60 მ. ნ. რეზცოვა (ფოთი) — 8,6, **300 მ.** ი. კუჭუხიძე (აჭარა) — 45,4. **80 მეტრზე თარჯრბენი.** მ. ზვერევა (ფოთი) — 14,2. **სიმაღლეზე ხტომა.** ზვერევა — 125. **სიგრძეზე ხტომა.** ტ. ტურეცკაია (თბილისი I) — 471. **ბადროს ტყორცნა.** ლ. ბარბაქაძე (ხაშური) — 20,32. **შუბის ტყორცნა.** ნ. ლინიოვა (აჭარა) — 23,27. **ბირთვის კვრა.** მ. ჯიოევა (ცხინვალი) — 10,63. **ხუთჭიდი.** მ. კერვალიშვილი (თბილისი I) — 2601.

ბიჭები. რბენა. 60 მ. ს. კავიაზინი (ფოთი) — 7,5, **300 მ.** ვ. ეგიზარიანი (აჭარა) — 39,3, **800 მ.** ნ. ვაგინი (ზუგდიდი) — 2.14,2. **100 მეტრზე თარჯრბენი.** ა. ლავრენკო (ფოთი) — 15,3. **სიმაღლეზე ხტომა.** დ. კუკანოვი — 170. **სიგრძეზე ხტომა.** კ. დენისოვი (ორივე — თბილისი I) — 586. **ბადროს ტყორცნა.** ნ. კანდელაკი (სამტრედია) — 35,86. **შუბის ტყორცნა.** მ. მტიუნინი (აჭარა) — 43,90. **ბირთვის კვრა.** გ. მიქაძე (მახარაძე) — 12,20. **ექვსჭიდი.** ა. თედეევი (ცხინვალი) — 2827.

ლ. გვასალია.
(ჩვენი სპეც. კორ).

ბათუმი.

სტარტზე 145 მოსწავლე

ჩატარდა რაიონის პირველობა მძლეოსნობაში. ტურნირი ფაშიზმთან ომში გამარჯვების 30-ე წლისთავს მიეძღვნა. სტარტზე გამოვიდა 145 მოსწავლე.

I ადგილი მოიპოვა დიმის 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი ზ. ჩუბინიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ს. მუმლაძე) გუნდმა — 1010 ქულა, II ადგილზეა როკითის საშუალო სკოლის კოლექტივი — 904, III — ფერსათის 1-ლი საშუალო სკოლის ნაკრები — 450.

რვაწლიან სკოლებს შორის ყველას აჯობეს წითელხევის მე-2 რვაწლიანი სკოლის წარმომადგენლებმა — 370 ქულა.

ნ. ცინცაძე,
მაიაკოვსკის რაიონის ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი, სპორტის ოსტატი.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პრიზზე

გამარჯვების დღესთან დაკავშირებით ბათუმის სპორტულ ბაზებზე გაიმართა მასობრივი შეჯიბრებები ფრენბურთში, კალათბურთში, ჩოგბურთში, მძლეოსნობასა და ფეხბურთში.

სპორტული ზეიმის კულმინაცია იყო მძლეოსნური ესტაფეტა — „ქალაქის რკალი" კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პრიზზე. ესტაფეტის სტარტისა და ფინიშის ადგილი იყო დიდების ობელისკი.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა ყველა სკოლისა და პროფტექნიკური სასწავლებლის 300-ზე მეტი მოსწავლე.

სტარტის წინ ესტაფეტის მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს ლენინის ძეგლი და დიდების ობელისკი, წუთიერი დუმილით პატივი სცეს დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნას.

მრავალრიცხოვანი მაყურებელი —ბათუმელები და ჩამოსული სტუმრები ინტერესით ადევნებდნენ თვალს ესტაფეტას, რომელიც 10 ეტაპისგან შედგებოდა.

თითოეულ გუნდში 7 ჭაბუკი და 3 გოგონა იყო.

მძაფრ ბრძოლაში ფინიშთან პირველნი მე-15 საშუალო სკოლის წარმომადგენლები მივიდნენ. II ადგილი დაიკავეს მე-11, ხოლო III — მე-3 საშუალო სკოლების გუნდებმა.

გამარჯვებულ კოლექტივს გადაეცა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პრიზი და სიგელები.

ვ. ლიბერმანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ბათუმი.

ვინც გაბედულად ჭიდაობს...

ფალავანთა კლუბის სარბიელზე სამი დღის მანძილზე ასპარეზობდნენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისისა და საგარეჯოს ნაკრები გუნდები. პირად-გუნდურ შეჯიბრებას უნდა დაესახელებინა საქართველოს ჩემპიონები სამბოში. მონაწილეთა შორის იყო 22 სპორტის ოსტატი, 40-ზე მეტი ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ვ. მამულაშვილი (თბილისი), ნ. ჯანჯღავა (რუსთავი), დ. ცინცაძე (აჭარა), ტ. პასიკაშვილი, გ. ვანიშვილი, ე. მაღალთაძე (სამივე — თბილისი), ა. იკაევი (სამხრეთ ოსეთი), გ. გულბანი, ჯ. ფიცხელაური, ჩ. ბერუაშვილი (საჩივე — თბილისი). ბოლო სამმა მოჭიდავემ ასპარეზობა უჯარიმოდ დაამთავრა.

საინტერესო იყო საგარეჯოელი ლაფერაშვილისა და ცხინვალელი იკაევის შეხვედრა. ლაფერაშვილს ხელს აძლევდა მხოლოდ გამარჯვება იმ დროს, როცა იკაევს ფრეც ყოფნიდა. იკაევმა უფრო გაბედულად იჭიდავა და მიზანსაც მიაღწია.

ასპარეზობამ გამოავლინა პერსპექტიული მოჭიდავეები დ. ქაშიბაძე (აფხაზეთი), გ. გეგიური, რ. ბეკოშვილი, რ. როსტიაშვილი, მ. პურიჭამიაშვილი (ყველა — თბილისი), შ. ბოლქვაძე (აჭარა)...

გუნდური გამარჯვება მოიპოვა თბილისმა, რომელიც ქალაქის მილიციის სამმართველოს სამბისტებით იყო დაკომპლექტებული. II ადგილზე გავიდა ქუთაისის ნაკრები, ხოლო III — აჭარის გუნდი.

რ. ფერაძე.

* * *

სურათზე: სამხრეთ ოსეთის გუნდის წევრი შ. ჩიხლაძე (მარცხნივ) ილეთს ატარებს.

ავტორის ფოტო.

რამდენიმე სტრიქონით

✦ ცხაკაია

დამთავრდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს ფიზკულტურული კოლექტივების შეჯიბრებები ჭადრაკსა და შაშში. თითოეულ ტურნირში 13 გუნდი მონაწილეობდა. ჭადრაკში კოლმეურნეობათა შორის ყველას ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის გუნდმა (თ. ბოჯგუა, ს. ტყებუჩავა, მ. ტყებუჩავა) აჯობა, საბჭოთა მეურნეობათა შორის — ახალსენაკის კოლექტივმა (დ. ჩალიგავა, გ. ლომაია, გ. ადამია). მოშაშეთა შეჯიბრებაში კოლმეურნეობათა შორის უძლიერესი იყო ლეძაძამეს ცხაკაიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლექტივი (ა. დავითაია, ჯ. მიქაძე, დ. ბალათურია), საბჭოთა მეურნეობათა შორის — ძველი სენაკის გუნდი (ჯ. კუპრეიშვილი, ვ. ჯანჯღავა, ნ. ჯანჯღავა).

ე. გუგუნავა.

✦ გურჯაანი

დამთავრდა „სპარტაკის" რაისაბჭოს პირველობა ჭადრაკში. ჩემპიონატში 15 კაცი მონაწილეობდა. უძლიერესის სახელი ხვდა სატვირთო კონტორის უფროს დისპეტჩერს დ. დურგლიშვილს.

* * *

საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის მოჭადრაკეთა ღია ჩემპიონატში 17 კაცი მონაწილეობდა. ჩემპიონი გახდა ვ. ჯაჯანაშვილი.

ა. ჭუჭულაშვილი.

✦ საჩხერე

ორ კვირას გრძელდებოდა მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფრენბურთში. გოგონებში პირველობა არავის დაუთმო სოფელ ჭალის საშუალო სკოლის გუნდმა. II ადგილი ხვდა ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის კოლექტივს, ხოლო III — სოფელ სარეკის საშუალო სკოლის გუნდს. ჭაბუკებში გაიმარჯვა ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის გუნდმა. II და III ადგილები შესაბამისად საჩხერის მე-3 და 1-ლი საშუალო სკოლების წარმომადგენლებს ხვდათ.

ა. ანასაშვილი.

✦ კასპი

აქ ჩატარდა რაიონული გუნდური პირველობა სპორტსაზოგადოებათა ნაკრებ გუნდებს შორის ძალოსნობასა და მაგიდის ჩოგბურთში. როგორც ძალოსნობაში, ისე მაგიდის ჩოგბურთში I ადგილი დაიკავეს „კოლმეურნის" ნაკრებმა გუნდებმა. II ადგილზეა „განთიადი", III — განათლების განყოფილების კოლექტივი.

ე. ზედაშვილი.

✦ თელავი

რაიონის ვეტერან მოჭადრაკეთა ტურნირში I ადგილი დაიკავა რაისავადმყოფოს ექიმმა ვ. ბალასანიანმა. II ადგილზეა ელექტროინჟინერი ა. გურასპიშვილი, III — ზოოტექნიკოსი ა. ლომიძე.

* * *

საინტერესოდ ჩატარდა ქალაქის მოჭადრაკეთა ტურნირი ელვისებურ თამაშში. ყველას აჯობა „ალაზანმშენის" პირველი უბნის მთავარმა ინჟინერმა, პირველთანრიგოსანმა კ. მეგრელიშვილმა.

* * *

რაიონის მოშაშეთა ტურნირში I-II ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა რ. გაბაშვილმა და ჯ. ჯავახიამ. III ადგილზეა თელავის შარშანდელი ჩემპიონი რ. ზურაშვილი.

გ. ელიოზიშვილი.

რამდენიმე სტრიქონით

პარლამენტის ბიბლიოთეკა

ფეხბურთი '75

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 მაისისთვის

23 მაისს შედგა მორიგი მატჩები. ქუთაისის ტორპედოელები ბაქოში შეხვდნენ ადგილობრივ „ნეფთჩის". დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „დინამო" (მინსკი) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 0:1, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) 2:1, „შინიკი" (იაროსლავლი) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 0:0, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 2:1, „ქაირათი" (ალმა-ათა) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 3:1, „ალგა" (ფრუნზე)— „სპარტაკი" (ნალჩიკი) 1:1, „პამირი" (დუშანბე) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 2:2, „ზვეზდა" (პერმი) — „კუზბასი" (კემეროვო) 1:1.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტავრია"	8	6	2	0	15—5	14
„ქაირათი"	9	5	2	2	16—9	12
„დინამო"	9	5	2	2	13—6	12
„ნეფთჩი"	9	4	3	2	8—4	11
„ტორპედო"	9	4	3	2	9—6	11
„ნისტრუ"	8	5	1	2	8—9	11
„მეტალურგი"	9	5	0	4	15—10	10
„სპარტ." (ორ.)	9	4	2	3	12—7	10
„კრ. სოვეტოვი"	9	4	2	3	10—8	10
„სპარტ." (ი.-ფ.)	8	3	3	2	10—7	9
„სპარტაკი" (ნ.)	9	3	3	3	9—9	9
„შინიკი"	9	2	5	2	8—8	9
„ყუბანი"	9	3	3	3	9—11	9
„რუბინი"	8	3	2	3	6—10	8
„კუზბასი"	9	2	3	4	7—9	7
„პამირი"	9	1	5	3	8—12	7
„ზვეზდა"	9	2	1	6	6—12	5
„ურალმაში"	8	1	2	5	3—11	4
„მეტალისტი"	8	0	3	5	2—9	3
„ალგა"	9	0	3	6	4—16	3

ბურთების საუცხოო ბალანსით

საფრანგეთის ქალაქ კანში დამთავრდა 16-17 წლის ფეხბურთელთა XIV საერთაშორისო ტურნირი. წლევულს შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის, ბელგიის, ჰოლანდიის, გფრ-ის, პოლონეთის გუნდებმა, საფრანგეთის სამხრეთ პროვინციების ნაკრებმა და ადგილობრივმა კლუბმა.

წარმატებით ითამაშეს საბჭოთა ფეხბურთელებმა (მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. სალნიკოვი), რომლებმაც მოიგეს ყველა მატჩი, გატანილი და მიღებული ბურთების საუცხოო ბალანსით — 14:0. საბჭოთა გუნდმა დაამარცხა ჰოლანდიელები (3:0) და საფრანგეთის ორივე გუნდი ერთნაირი ანგარიშით — 4:0. მან სხვა მატჩებიც „მშრალი" ანგარიშით მოიგო.

გამარჯვებულებმა დაიმსახურეს ტურნირის ყველა პრიზი.

სპორტტექნიკურ კომისიაში

დამნაშავენი დაისაჯნენ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ იმსჯელა იმ დარღვევათა შესახებ, რომლებიც რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მოხდა.

9 მაისს გურჯაანის „ალაზანი" მასპინძლობდა საგარეჯოს „პოლიტექნიკოსს". 38-ე წუთზე არბიტრმა გ. დოლენჯაშვილმა მინდვრიდან გააძევა გურჯაანელი ფეხბურთელი ი. მღებრიშვილი, რომელმაც მას უხამსი სიტყვებით მიმართა. ამას გარდა, გურჯაანელთა რიგებში სხვისი გვარით გამოდიოდა გ. კერესელიძე (იგი მანამდე იყო გაძევებული მინდვრიდან და არ ჰქონდა თამაშის უფლება), რომელმაც მუშტი-კრივი გაუმართა მსაჯს. ეს უკანასკნელი იძულებული გახდა მატჩი შეეწყვიტა.

„ალაზნის" ფეხბურთელთა კრებამ გადაწყვიტა ორივე ამ ხულიგანს საერთოდ აეკრძალოს სპორტულ შეჯიბრებებში გამოსვლა. სპორტტექნიკური კომისია დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას და გარდა ამისა გუნდის მწვრთნელს ო. ზავრაშვილს გამოუცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით, გუნდის კაპიტანს რ. სამნიაშვილს — საყვედური, ხოლო კოლექტივის სხვა წევრებს — მიუთითა.

10 მაისს სიღნაღის სტადიონზე ერთმანეთს ხვდებოდნენ II ჯგუფის გუნდები — ადგილობრივი „ცისკარი" და აღიგენის „განახლება". მატჩის მსვლელობაში მაყურებლები ისე ახლოს იდგნენ კარის ხაზთან, რომ ხელს უშლიდნენ თამაშის მსვლელობას. როცა მსაჯმა მათ სთხოვა მოშორებოდნენ სათამაშო მინდორს, ერთ-ერთმა განაწყენებულმა მაყურებელმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

სპორტტექნიკურმა კომისიამ გადაწყვიტა სიღნაღის სტადიონი დისკვალიფიცირებულ იქნეს 2 მატჩით, ხოლო ადგილობრივი სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელები გაფრთხილებული არიან, რომ თუ მათს სტადიონზე მსგავსი რამ გამეორდა, სიღნაღის გუნდი საერთოდ მოიხსნება გათამაშებიდან.

19 აპრილს ლაითურის „გიგანტისა" და ბათუმის „მშენებლის" შეხვედრის დროს ზესტაფონელმა არბიტრმა გ. ჰაკნელიძემ მინდვრიდან გააძევა ბათუმის გუნდის წევრი ლ. გუჯაბიძე, რომელიც მას უდიერად მოექცა. გუჯაბიძე დისკვალიფიცირებულია 5 კალენდარული მატჩით.

2-2 მატჩით მიეცათ დისკვალიფიკაცია ჩოხატაურელ ე. მურვანიძეს და ბოლნისელ ვ. ბურცევს, რომლებიც მინდვრიდან გაძევებული იყვნენ მსაჯთან კამათისთვის.

ზესტაფონის „მეტალურგისა" და თელავის „კახეთის" შეხვედრაში თელაველი გ. ბურდული ეკამათებოდა გვერდით მსაჯს, რისთვისაც არბიტრმა ი. რუსიეშვილმა (ბათუმი) იგი გააძევა მინდვრიდან. გ. ბურდულმა კომისიის სხდომაზე გულახდილად აღიარა თავისი დანაშაული, რომელიც პირველია მის პრაქტიკაში, და პატიება ითხოვა. კომისიამ შესაძლებლად ცნო შემოფარგლულიყო 1 მატჩით დისკვალიფიკაციით.

ი. მჭედლიშვილი,
სპორტტექნიკური კომისიის მდივანი.

გამარჯვების დღეს მიეძღვნა

დიდი ინტერესი გამოიწვია ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში გამართულმა საქალაქო შეჯიბრებამ მინი-ფეხბურთში საშუალო სკოლების გუნდების მონაწილეობით, რომელიც გამარჯვების დღეს მიეძღვნა.

შეჯიბრება ჩატარდა ორ ზონად. კარგად ითამაშეს მე-7 საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა, რომლებმაც შეძლეს საპატიო თასის მოპოვება. II და III ადგილებზე გავიდნენ პიონერთა პარკისა და მე-4 სკოლის გუნდები.

საუკეთესო მოთამაშეთათვის დაწესებული პრიზები გადაეცათ გ. გიორგაძეს, რ. სიმსივეს, ა. ბარაქაძეს, გ. ლომიძეს.

საუკეთესო მსაჯად მიიჩნიეს ნ. აბულაძე.

ი. კოკუაშვილი.

ქუთაისი.

კიდევ ერთხელ „შევარდენზე"

„ლელო" ბეჭდავს გ. მერკვილაძის მოგონებებს რუბრიკით „საბჭოთა ფიზიკური კულტურის საწყისები საქართველოში".

როცა საწყისების პლანში იწყებ მოგონებებს, რა თქმა უნდა, ვალდებული ხარ, მკითხველს უამბო საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის პრინციპულად ახალ საფუძვლებზე აგებაზე, მისი ამოცანის შესატყვისი ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიებაზე, იმაზე, თუ როგორ თანდათან იქცეოდა იგი „შევარდენიდან" დაწყებული, იმდროინდელი „სპარტაკის" სახით ახალი საფეხურის გავლით, ჭეშმარიტად მასობრივ, საწარმოო-ტერიტორიულ პრინციპებზე აგებულ დღევანდელი სახის მოძრაობად, როგორ უფრო და უფრო განშტოებული ხდებოდა როგორც საწარმოო-ტერიტორიული ნიშნის, ისე დანიშნულების (სასწავლო, სპორტული, საწარმოო, სამკურნალო) და მრავალრიცხოვან სახეობათა (მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ფეხბურთი...) მიხედვით.

ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მაშინ კომკავშირმა. საერთოდ, პრინციპულად ახალი იყო პროფკავშირული ფიზკულტურის ორგანიზაციისა და მართვის ფორმები. ღრმა აზრით დატვირთულ შეუპოვარ ძიებას მოწმობს მაშინდელი სტრუქტურული გარდაქმნები ფიზკულტურის სისტემაში, დაწყებული მისი უმაღლესი ორგანოებიდან. ოციანი წლები გამოირჩევა პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებათა და რეზოლუციათა სიუხვით ფიზკულტურის შემდგომი ამოცანებისა და განვითარების მიმართულების საკითხებზე. ამ პრინციპულობაზე და კონკრეტულ ზრუნვაზე ნათლად მეტყველებს ის გარემოება, რომ XV პარტიულმა კონფერენციამ საჭიროდ მიიჩნია უშუალოდ გაეკიცხა არასწორი მიდგომა ფიზკულტურასა და სპორტისადმი, კერძოდ, უგულისყურო დამოკიდებულება სპორტული შეჯიბრებებისადმი.

ყოველივე ამას გ. მერკვილაძე დუმილით უვლის გვერდს. იყო თუ არა, ან სახელდობრ როგორი იყო თვით სპორტული ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელი ორგანოები? ვინ მართავდა მათ, რით სუნთქავდნენ, როგორ ცხოვრობდნენ, რისი მიღწევა სურდათ და რას მიაღწიეს? ამის შესახებაც არსებითი თითქმის არაფერია ნათქვამი. უკვე დაიბეჭდა პირველი სამი ნარკვევი („შალვა ელიავა", „გაიოზ ბერელაშვილი" და „არჩილ ბაქრაძე"). სამივე თავი დიდი ინტერესით იკითხება. ან რა გასაკვირია: გიორგი მერკვილაძე ხომ ცოცხალი ისტორიაა ჩვენი სპორტისა. მას კარგად ახსოვს ზოგჯერ საოცარი დეტალებიც კი. და მაინც, მახსოვრობის ამ აპარატს თავისებურად უმუშავია ისეთი დეტალიზაციის სასარგებლოდ, სადაც საინტერესო პიროვნებათა საზოგადოებრივ მოღვაწეობაში თვით საზოგადოება იკარგება და იგი, ეს მოღვაწეობა, რაღაც თვითკმარ და ამიტომ გადაჭარბებულ შეფასებას იძენს.

თუმცა, მე ამიტომ როდი ავიღე კალამი ხელში. ავიღე, მიუხედავად მრავალი წლის მანძილზე განმტკიცებული სიყვარულისა და პატივისცემისა მოგონებათა ავტორის მიმართ, ვინაიდან სხვანაირად არ შემიძლია, ვინაიდან მამოქმედებს ძველი და ჩემთვის მუდამ სავალდებულოდ მიჩნეული ნორმა: „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო ძვირად მიღირს". ერთი სიტყვით, პირადად მე ძალზე სადავოდ მომეჩვენა ის ადგილები წერილში, სადაც ლაპარაკია „შევარდენის" ლიკვიდაციაზე. ჩემი აზრით, აქ გამოსჭვივის ავტორის სურვილი, რომ უარყოს კანონზომიერება იმ ბედისა, რომელიც 1922 წლის დამლევს ტანვარჯიშულ საზოგადოება „შევარდენს" ეწია.

რათა ნათქვამი ცხადი იყოს, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ბედი ეწია არა მარტო „შევარდენს" და არა მარტო საქართველოში. ჯერ კიდევ რუსეთის კომკავშირის IV ყრილობამ, რომელიც 1921 წელს ჩატარდა, კატეგორიულად მოითხოვა ქვეყანაში არსებული ყველა ძველი სპორტული კლუბისა და საზოგადოების საერთო ლიკვიდაცია. ამგვარად, არ შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს „შევარდენის" მიმართ გამოყენებული იყო რაღაც განსაკუთრებული და მხოლოდ ადგილობრივი გარემოებებით განპირობებული ზომები. უკეთეს შემთხვევაში, „შევარდენი" იარსებებდა რა, დიდი-დიდი, კიდევ ერთ-ორ წელიწადს, მაინც გაუქმდებოდა, როგორც გაუქმდა თვით საქართველოს კომკავშირის მიერ „შევარდენის" მაგიერ შექმნილი ახალი სპორტული საზოგადოება „სპარტაკი". რატომ? იმიტომ, რომ ქვეყნის ფიზკულტურული მოძრაობა სხვა, დღემდე არსებული საწარმოო-ტერიტორიული პრინციპის მიმართულებით წარიმართა.

ამასთან დაკავშირებით უნდა მოვიგონოთ 1925 წელს მიღებული რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება: „პარტიის ამოცანები ფიზიკური კულტურის სფეროში". მკითხველებს გავახსენებთ ამ დადგენილების მე-4 პუნქტს, სადაც ეწერა: „ფიზიკური კულტურა უნდა შეადგენდეს მასების ზოგადპოლიტიკური, კულტურული აღზრდისა და განათლების, გაჯანსაღების განუყოფელ ნაწილს და უნდა შედიოდეს შესაბამისი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების (პროფკავშირები, რუსეთის კომკავშირი, წითელი არმია, სკოლა, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებები და ა. შ.) მუშაობის საერთო გეგმაში.

ამიტომ ფიზკულტურა არ უნდა განცალკევდეს ორგანიზაციულად რაღაც დამოუკიდებელ სპორტულ-ტანვარჯიშულ გაერთიანებებში, რაც აუცილებლად გამოიწვევდა მის მოწყვეტას ძირითადი პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობიდან, ფიზკულტურაში მომეცადინე მასების გათიშვას ძირითადი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან" (იხ. კრებული „ფიზიკური კულტურა ციფრებსა და ფაქტებში", გვ. 10-11).

რა დასამალია, საზოგადოება „შევარდენი" აღიარებდა სწორედ ამ დამოუკიდებლობას „ძირითადი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან" და ამიტომაც იყო განწირული.

როგორც მოწმობს გ. მერკვილაძის წერილში მოყვანილი მისი საუბარი შალვა ელიავასთან, ამ უკანასკნელს არ სცოდნია „შევარდენის" ლიკვიდაციის ჭეშმარიტი მიზეზი, რაც სავსებით შეუფერებელია მისი მაღალი პოსტისათვის. იგი დაინტერესებულია: ნუთუ მართალია, რომ ამ ორგანიზაციაში არ უშვებენ პარტიულებს, კომკავშირელებს, რუსებსა და სომხებსო? შეიძლებოდა თუ არა შ. ელიავას სწორი ინფორმაცია არ ჰქონოდა ამ საკითხზე? და თუ მას მართლა არ ჰქონდა ეს ინფორმაცია, რამდენად მიზანშეწონილია ავტორსა და მას შორის გამართული დიალოგის ისეთი პლანით წარმოდგენა, თითქოს სიმართლისგან დაშორებული მოსაზრებებით იმდენად შეაცდინეს რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელები, რომ ისინი საქმის ვითარებაში ვერ გაერკვნენ, დაუფიქრებლად აჩქარდნენ და „შევარდენი" დახურეს? ამ ვერსიას, ჩემი აზრით, საერთო არაფერი აქვს ისტორიულ სიმართლესთან.

ზემოთ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ მთელი სახელმწიფოსთვის საერთო მიზეზებზე, რამაც გამოიწვია ყველა ძველი სპორტული კლუბისა და საზოგადოების, მათ შორის „შევარდენის" გაუქმება. მაგრამ იყო სხვა უაღრესად სერიოზული მიზეზები, რაც უშუალოდ „შევარდენს" ეხებოდა.

საბჭოთა საქართველო სავსებით ლოიალურად მოეკიდა „შევარდენის" ორგანიზაციებს. თავად გ. მერკვილაძის არქივში არის საბუთები, რომლებიც მოწმობენ, თუ რა მზრუნველობით ეკიდებოდნენ თავდაპირველად ამ ორგანიზაციებს სერგო ორჯონიკიძე და მამია ორახელაშვილი. თვით გ. მერკვილაძის წერილში მოყვანილი ავტორის დიალოგი შალვა ელიავასთან მოწმობს, რომ საბჭოთა ხანაში „შევარდენის" არც ერთ ხელმძღვანელს რეპრესიები არ განუცდია. კიდევ მეტი: ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ, ნდობით ეკიდებოდა რა „შევარდენის" კადრებს, ფართოდ ჩააბა ისინი საქართველოში სპორტული მოძრაობის შემდგომ გაშლაში. და უნდა ითქვას, რომ ამ კადრებმა სავსებით გაამართლეს ნდობა.

მაგრამ აქ ხომ ლაპარაკია არა ცალკეულ პირებზე, არამედ მთლიანად საზოგადოება „შევარდენის" პოლიტიკური სახის შესახებ. უპასუხებდა თუ არა იგი მის მიმართ გამოჩენილ ლოიალობას, უწევდა თუ არა სოლიდარობას ახალ წყობას? ამ შეკითხვაზე ძალიან ძნელია დადებითი პასუხის გაცემა. გ. მერკვილაძის წერილში საბჭოთა ხელისუფლების მიმართ „შევარდენის" ლოიალობის დამადასტურებელი ერთადერთი არგუმენტი — ის, რომ საზოგადოებას მონაწილეობა არ მიუღია 1924 წლის მენშევიკურ ავანტიურაში — მეტისმეტად უსუსურია. „შევარდენი" ვერ ჩაებმებოდა ამ ავანტიურაში მარტო იმ უბრალო მიზეზით, რომ იგი გაუქმდა ჯერ კიდევ 1922 წელს და იმ დროს უკვე აღარ არსებობდა.

აქედან გამომდინარე, გ. მერკვილაძის ეს მოსაზრება თავისთავად უკუგდებულია. სამაგიეროდ, გვაქვს ფაქტები, რომლებიც, სამწუხაროდ, პირიქით ამტკიცებენ „შევარდენის" არალოიალურ დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. მაგალითად, ცნობილია, რომ ამ საზოგადოებამ შეაიარაღა უფროსი შევარდენისტები მენშევიკური წესწყობილების დასაცავად 1921 წლის თებერვალში, ცნობილია, რომ უკვე საბჭოთა პერიოდში მან თავის ჟურნალ „შევარდენში" დაბეჭდა შევარდენისტთა ფოტოსურათები და ნეკროლოგები, რომელთა გამოქვეყნებისგანაც, თუ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ლოიალობის გამოჩენა სურდა, თავი უნდა შეეკავებინა. ცნობილია, რომ მას ჰქონდა ანტისაბჭოური ემბლემა (სამკერდე ნიშანი). და ბოლოს, რამდენად შემთხვევითი იყო ის ამბავი, რომ უკვე ჩვენს დროში „შევარდენის" ხელმძღვანელთა მიღებული ფორმის სარტყელი მენშევიკური საქართველოს დროშის ფერებისგან შედგებოდა? ეს ყველაფერი არც ისეთი წვრილმანია, როცა „შევარდენის" პოლიტიკურ სახეზე გვაქვს ლაპარაკი.

ცდა ამ საზოგადოების გაიდეალებისა, როგორც მხოლოდ სპორტული ორგანიზაციისა — ეს ცუდი ხერხებით თამაშია. რა თქმა უნდა, „სოკოლიც" და კიდევ უფრო მეტად ჩვენს რესპუბლიკაში „შევარდენიც" წმინდა სპორტული თვალსაზრისით კეთილ სიტყვებს იმსახურებენ და თავის დროზე მნიშვნელოვანი როლიც შეასრულეს ჩვენი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ისინი საზოგადოების ტანვარჯიშულ გაერთიანებას აშკარად პოლიტიკურ ამოცანებს უსახავდნენ. რუსეთის ფარგლებს გარეთ „სოკოლს" ამოცანად ჰქონდა დასახული სლავების გაერთიანება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ინტერესებით. რუსეთში მის პოლიტიკურ პროგრამად იქცა ამ ქვეყნის ქვეშევრდომთა თვითმპყრობელობის ეგიდის ქვეშ გაერთიანება. როგორც უკვე ვწერდი, „სოკოლში" სოკოლური იდეის ველიკოდერჟავული ვარიაციების ამ პროპაგანდით გატაცებული იყო შევარდენიზმის ზოგიერთი მომავალი იდეოლოგიც კი, რომელთაც საქართველოში მენშევიკების დროებით გამეფების შემდეგ იჩქარეს მენშევიკურ-შოვინისტურ ყაიდაზე გარდაქმნა. ჩვენ უფლება არა გვაქვს თვალი დავხუჭოთ სოკოლიზმისა და შევარდენიზმის ამ რეაქციულ პოლიტიკურ არსზე.

ნარკვევში „გაიოზ ბერელაშვილი" გ. მერკვილაძე ცდილობს ცარიზმის დროს შევარდენიზმის მომავალ იდეოლოგთა ერთგულება პოლიტიკური შენიღბვის სურვილით გაამართლოს. ეს „შენიღბვა" კი არა მილიუკოვის გადამღერება იყო. იგი საზოგადოების ხელმძღვანელთა მაშინდელი პოლიტიკური მოუმზადებლობის შესახებაც წერს, მაგრამ განა ეს გამართლებაა, როცა პოლიტიკურ მოღვაწეობაზეა ლაპარაკი?

მე არ ვფიქრობ, რომ გ. მერკვილაძემ გადაწყვიტა ახლა, ამდენი წლის შემდეგ სადავო გახადოს „შევარდენის" გაუქმების კანონზომიერება. მაგრამ რამდენადაც მისმა წერილებმა, თვით ავტორის სურვილის საწინააღმდეგოდ, შეიძლება გულუბრყვილო ხალხში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, ამგვარი დასკვნები გამოიწვიოს, ჩემს მოვალეობად მივიჩნიე ამ საკითხის გაშუქება.

ვ. მდივანი.

„კოლმეურნის" პირველობაზე

ამას წინათ კასპში გაიმართა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობა ფრენბურთში. შეჯიბრება ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს მიეძღვნა.

ვაჟთა შორის საზოგადოების ჩემპიონი გახდა ზემო ხანდაკის კოლმეურნეობის ნაკრები. II და III ადგილები შესაბამისად გაიყვეს დოესისა და ქალის კოლმეურნეობათა გუნდებმა.

ქალთა შეჯიბრებაშიც ხანდაკელებმა იმარჯვეს. II ადგილი ხვდა კასპის რაიკოოპერატივის გუნდს, ხოლო III — დოესის კოლმეურნეობის ნაკრებს.

ლ. ელისაბედაშვილი.
(ჩვენი კორ.).

კასპი.

პარდუბიცეს, ლოძისა და ეშერის გავლით — კიევში

დასასრული

მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი წააგო პრაღის „სლავიასთან“. ახლა ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელები მასპინძლების როლში გამოდიოდნენ და, ბუნებრივია, ამ ტურნირში გამარჯვებასაც ვარაუდობდნენ. სხვათა შორის, „სლავიას“ ეროვნულ ჩემპიონატში წლეულს არც ისე კარგად წაუვიდა საქმე: ჩეხოსლოვაკიის მრავალგზის ჩემპიონმა ჯილდოდ მხოლოდ ბრინჯაოს მედლები მიიღო. არადა, გუნდი ძლიერიცაა და გამოცდილიც. საკმარისია ითქვას, რომ ამ კოლექტივის ღირსებას იცავს მსოფლიო კალათბურთის ორი ბრწყინვალე ოსტატი, ეროვნული ნაკრების უცვლელი წევრები ზიდეკი და ზედნიჩეკი.

ბუქარესტის „დინამოს“ და პრაღის „სლავიის“ გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სოფიის „ლევსკი“ — ბულგარეთის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი, ვროცლავის „გვარდია“ — I ლიგის ჩემპიონი, რომელმაც წლეულს უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მიიღო, თბილისის „დინამო“ და ტურნირის უშუალო მასპინძელი — პარდუბიცეს გუნდი.

წინასწარ ვიტყვით, თბილისელებმა ეს შეჯიბრება მოიგეს ისე, რომ ყველა მეტოქე დაამარცხეს. მაშასადამე, ორივე რევანშიც შედგა. ყველაზე დაძაბული და ძნელი ბრძოლა ჩვენებს ისევ „სლავიასთან“ ჰქონდათ და, ვინაიდან ყველა დინამოელი სამაგიეროს გადახდის სურვილით იყო შეპყრობილი, ამ მატჩს მთელი გუნდი განსაკუთრებული სერიოზულობით შეხვდა. მწვრთნელმა ლ. მოსეშვილმა შემადგენლობაში შეიყვანა თ. ჩიხლაძე, რომელსაც სხვა თამაშებში მონაწილეობა არ მიუღია (საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ იგი გადაღლილი იყო და გუნდმა დასვენების საშუალება მისცა). თბილისელებმა ეს გადამწყვეტი ორთაბრძოლა მოიგეს ანგარიშით 71:68.

შედარებით იოლი გამოდგა რევანში ბუქარესტის „დინამოსთან“ — 82:72. დანარჩენი მატჩები კი თბილისელმა კალათბურთელებმა, უბრალოდ რომ ვთქვათ, ადვილად მოიგეს: „ლევსკისთან“ — 107:88, „გვარდიასთან“ — 88:64, პარდუბიცეს გუნდთან—93:71.

მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: „სლავია“ (ერთი წაგებით), „ლევსკი“ (2), ბუქარესტის „დინამო“ (3), და პარდუბიცე (4). „გვარდიამ“ ყველა შეხვედრა წააგო.

თბილისში დაბრუნების შემდეგ დინამოელთა უფროსი მწვრთნელი ლ. მოსეშვილი რედაქციას ესტუმრა და სპორტის განყოფილების გამგეს ნ. ბუბუშვილს ესაუბრა.

● ხართ თუ არა კმაყოფილი პარდუბიცეს ტურნირის შედეგებით?

— გამარჯვება მუდამ სასიამოვნოა, ჩვენ კი ამ ტურნირში არა მარტო გავიმარჯვეთ, არამედ ორი რევანშიც ავიღეთ. ცხადია, შედეგებით კმაყოფილი ვართ.

● როგორია გუნდის უახლოესი გეგმები?

— საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ სერიოზულად ჯერ არ დაგვისვენია. ამიტომაც პარდუბიცეს ტურნირი აქტიური დასვენების მიზნით გამოვიყენეთ. კალათბურთელებს მეტი თავისუფლება ჰქონდათ, ვიდრე სხვა შეჯიბრებების პერიოდში. ახლა მივემგზავრებით ლოძში. თბილისის ძმადნაფიცი ქალაქი სპორტულ ზეიმს მართავს და ამ ზეიმზე მიწვეული ვართ ჩვენ — კალათბურთელები და ველოსიპედისტები. ლოძიდან დაბრუნების შემდეგ ინტენსიურ წვრთნას დავიწყებთ ეშერაში, მერე კი სპარტაკიადის დროც მოვა. კიევში ჩავალთ შეჯიბრების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე და რამდენიმე საკონტროლო შეხვედრას ჩავატარებთ.

● როგორ ფორმაში არიან ბიჭები?

— ძირითადად დამაკმაყოფილებელ ფორმაში. მიხეილ ქორქია ჩვენთან ერთად არ იყო. იგი ამჟამად სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ვარჯიშობს. კარგად ითამაშა პარდუბიცეში პულავსკიმ. იგი ტურნირის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო — ხუთ მატჩში გუნდს 89 ქულა შესძინა. თითქმის ყველა მატჩში ითამაშა ბონდო ბოლქვაძემ. ამან ძალიან გაგვახარა. რა მნიშვნელობა აქვს ბოლქვაძეს ჩვენი გუნდისთვის, მე მგონი ყველას კარგად ესმის.

● ვინ მიგაჩნიათ სპარტაკიადაში მთავარ მეტოქეებად?

— ჩვენი ძირითადი მიზანია ქვეჯგუფში წარმატებით გამოსვლა. ანალოგიურ გეგმას ისახავენ ესტონეთისა და ლატვიის გუნდები. სხვათა შორის, მხოლოდ ესტონელები და ჩვენ გამოვდივართ სპარტაკიადაში საკლუბო გუნდების შემადგენლობებით. დანარჩენი კოლექტივები რამდენიმე გუნდის ბაზაზე არიან შექმნილი. რიგის არმიელებმა წლეულს უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვეს. ლატვიის გუნდი უსათუოდ ძლიერი მეტოქე იქნება, მით უმეტეს, რომ მასში ვეფ-ის საუკეთესო მოთამაშეებიც ჩაირიცხებიან. ასე რომ, ჩვენი ძირითადი მიზანია, როგორმე დაუბრკოლებლად გავიაროთ სპარტაკიადის პირველი ეტაპი, მერე კი... ყველაფერია მოსალოდნელი.

ველორბოლა ყველა განზომილებით

BPW
28. COURSE DE LA PAIX 1975

133 საათი, 19 წუთი და 48 წამი მოაგროვეს გუნდურ ჩათვლაში მშვიდობის XXVIII ველორბოლაში გამარჯვებულმა საბჭოთა სპორტსმენებმა. II ადგილი დაიკავა გდრ-ის ნაკრებმა — 133:28.17, III — ჩეხოსლოვაკიის გუნდმა — 133:30.31, IV — პოლონეთის კოლექტივმა — 133:31.32. V ადგილი ხვდათ ნორვეგიის სპორტსმენებს — 133:40.44, VI — შეჯიბრების დებიუტანტებს, ესპანეთის მრბოლელებს — 133:40.45.

გუნდური ჩათვლის მაჩვენებლები ჯამდებოდა ყოველ ნაკრებში სამი საუკეთესო შედეგის მიხედვით. წარმატებას დიდად უწყობდა ხელს ეტაპებზე გამარჯვებულთა პრემიული წამები.

პირად ჩათვლაში გაიმარჯვა პოლონეთის გუნდის წევრმა რ. შურკოვსკიმ. ამ შეჯიბრებაში მან მანამდე სამჯერ მოიპოვა პირველობა — 1970, 1971 და 1973 წლებში. სხვათა შორის, 1973 წელს გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვება სსრ კავშირის წარმომადგენლებს ხვდათ.

შურკოვსკიმ 13 ეტაპზე 44 საათი, 25 წუთი და 30 წამი დააგროვა. ერთ ეტაპზე (ტრჟინეცი — ოპოლე) იგი პირველი იყო, თითქმის მუდამ მეწინავეთა ჯგუფთან ერთად მიდიოდა ფინიშთან და საშუალედო ფინიშებზე პრემიულ წამებს აგროვებდა.

II ადგილი დაიკავა გდრ-ის წარმომადგენელმა, პირველ ეტაპზე გამარჯვებულმა ჰ.-ი. ჰარტნიკმა — 44:26.16, III — ა. პიკუუსმა (ტარტუ) — 44:26.34.

ვ. ჩაპლიგინი (კურსკი) მეოთხე იყო — 44:27.50, ა. გუსიატნიკოვი (კუიბიშევი) — მეხუთე — 44:28.37, ვ. ოსოკინი (ლენინგრადი) — მეთორმეტე — 44:33.57, ვ. ლიხაჩოვი (გორკი)—ოცდამეხუთე — 44:37.21, ა. იუდინი (ტაშკენტი) — ოცდამეექსე — 44:37.25.

ლიხაჩოვმა მოიგო სამი ეტაპი, აქედან ორი — დედაქალაქებში, პრაღასა და ვარშავაში. დანარჩენ სპორტსმენებს თითო გამარჯვება ხვდათ.

ყველაზე აქტიური მრბოლელის ტიტულისთვის ბრძოლაში გაიმარჯვა შურკოვსკიმ. ამ ჩათვლაში მეორე იყო ლიხაჩოვი, მესამე — გუსიატნიკოვი, მეოთხე — ოსოკინი.

„მთის მეფის“ ტიტული მოიპოვა პოლონელმა ველოსიპედისტმა ი. ბჟეზნიმ.

(საკდესის კორ.).

მე-18 ტირაჟის შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მეთვრამეტე ტირაჟისა, რომელიც 21 მაისს მოეწყო მოსკოვში.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 4527 მანეთია, ოთხისთვის — 74, სამისთვის — 4.

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი ვერც აქ გამოიცნო ვინმემ. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 2730 მანეთია, ოთხისთვის — 68, სამისთვის — 3.

მოგებული თანხა გაიცემა 1 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით.

შემდეგი ტირაჟი მოეწყობა 28 მაისს. (საკდესი).

„ეს იყო დაუვიწყარი რბოლა“

ვარშავა, 23 მაისი. (საკდესის კორ.). საბჭოთა ველოსიპედისტებმა ა. გუსიატნიკოვმა, ა. იუდინმა, ვ. ლიხაჩოვმა, ვ. ოსოკინმა, ა. პიკუუსმა და ვ. ჩაპლიგინმა დაიკავეს საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური ფაშიზმზე გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ მშვიდობის XXVIII ველორბოლაში, რომელიც ჩატარდა მარშრუტით ბერლინი — პრაღა — ვარშავა. პირად ჩათვლაში — ეს უკვე მეოთხედ — გაიმარჯვა გამოჩენილმა პოლონელმა სპორტსმენმა რ. შურკოვსკიმ.

— ეს იყო დაუვიწყარი რბოლა, — თქვა ბოლო ეტაპზე გამარჯვებულმა, გორკელმა სტუდენტმა ვ. ლიხაჩოვმა. — საბჭოთა გუნდმა დამაჯერებლად მოიგო პირველი ადგილი, მაგრამ ჩვენ ყველანი გულმოდგინედ „ვმუშაობდით“ დისტანციის ბოლო მეტრებამდე, მხარს ვუმაგრებდით ერთმანეთს. იმედი მაქვს, კიდევ დავბრუნდები ტრასაზე, რომელიც სამი მოძმე ქვეყნის დედაქალაქებს აერთიანებს. მან დაამეგობრა ბევრი სახელმწიფოს სპორტსმენები. აღტაცებული ვარ ველორბოლაში გამარჯვებული რიშარდ შურკოვსკით. იგი ბრწყინვალე სპორტსმენია, რომლისგანაც მაგალითს უნდა იღებდეს ახალგაზრდობა.

— ასეთ შეჯიბრებას მარტო კაცი ვერ მოიგებს, — თქვა შურკოვსკიმ. — აქ ბრძოლა იყო გაჩაღებული ყოველი წამისთვის. საჭირო იყო ყურადღების მაქსიმალური კონცენტრაცია მთელი დისტანციის მანძილზე. მე ხუთი თანაგუნდელი მეხმარებოდა; ამიტომ ჩემი გამარჯვება ეკუთვნის მთელ ნაკრებს, რომელმაც საერთო IV ადგილი დაიკავა.

— ველორბოლის ატმოსფერო ბრწყინვალე იყო, — აღნიშნა ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთმა უძლიერესმა სპორტსმენმა ვ. მორავეცმა. — მთელი შეჯიბრების მანძილზე ვგრძნობდით მაყურებელთა ყურადღებასა და დიდ მხარდაჭერას. საზეიმო ატმოსფერო ყველგან იგრძნობოდა, ხოლო შეჯიბრების სპორტული დონე უდავოდ უფრო მაღალი იყო, ვიდრე წინა სამაისო ასპარეზობებში.

წლევანდელ რბოლაში, რომელიც მოაწყვეს გაზეთების „ნოიეს დოიჩლანდის“ (გდრ), „რუდე პრავოს“ (ჩეხოსლოვაკია) და „ტრიბუნა ლიუდუს“ (პოლონეთი) რედაქციებმა, მონაწილეობდა 17 ქვეყნის 102 სპორტსმენი. 8 მაისს მოწყობილი „ეროვნებათა ესტაფეტის“ სტარტიდან მრბოლელებმა საერთო ჯამში 1965 კმ გაიარეს. მხოლოდ ერთმა სპორტსმენმა შეძლო სამი ეტაპის მოგება — ვ. ლიხაჩოვმა. ყველაზე „შედეგიანი“ იყო პოლონეთის ნაკრები, რომელმაც 5 ეტაპი მოიგო.

პირველი ნახევრის შემდეგ

ლიეპაია. (ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა „დინამოს“ ქალთა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის პირველი ნახევარი.

6 ტურის შემდეგ 5-5 ქულით I-II ადგილებს იყოფენ საერთაშორისო ოსტატი იგნატიევა (მოსკოვი) და ოსტატობის კანდიდატი გოლდმანი (ტაშკენტი). 4,5-4,5 ქულა მოაგროვეს ოსტატებმა კობაიძემ (თბილისი) და ტიტორენკომ (მოსკოვი). თბილისელმა ოსტატმა ჯერჯერობით მოიგო 4 პარტია, ყაიმით დაამთავრა შეხვედრა გოლდმანთან და წააგო ტიტორენკოსთან.

ჩემპიონის წოდებისთვის შეჯიბრების მხოლოდ ეს ოთხი მონაწილე იბრძვის. დანარჩენები (მათ შორის ოსტატი მუსლიმოვა) საგრძნობლად ჩამორჩნენ.

გ. გამრეკელი.

სწორად ამოხსნეს

„ლელოს“ 2 მაისის ნომერში გამოქვეყნებული ვ. სერედას (თბილისი) ეტიუდი სწორად ამოხსნეს რ. კახიძემ (ხელვაჩაურის რაიონი, სოფ. ქვემო ჩხუტუნეთი), გ. ზარდიაშვილმა (გურჯაანი), ტ. და ო. მამულაშვილებმა (ორივე — თბილისი).

ეტიუდის ამოხსნაა: 1. კd5 კ:e5 2. კ:a2 ეg2 (2. ... ეa6 3. კb1) 3. კd5 ეe2 4. კe4.

ომგადახდილი მებრძოლებისადმი მიძღვნილი რ. თავარიანის (თბილისი) სამივე ამოცანა (იხ. „ლელო“, № 91) სწორად ამოხსნეს: თ. კინწურაშვილმა (ცხაკაია), გ. გიგაშვილმა (ქარელის რაიონი, სოფ. რუისი), მ. მოშიაშვილმა (ქარელი), ზ. ოთარაშვილმა (წითელი წყაროს რაიონი, სოფ. არბოშიკი), ნ. კახიძემ (ხელვაჩაურის რაიონი, სოფ. ქვემო ჩხუტუნეთი), ლ. აბრამიამ, ზ. შურღაიამ (ორივე — ხობი, სოფ. ნოჯიხევი), ტ. და ო. მამულაშვილებმა, ნელი მეგრელიშვილმა (სამივე — თბილისი), ე. ჭუმბურიძემ (თერჯოლის რაიონი, სოფ. ზედა სიმონეთი).

ამოცანების ამოხსნაა: № 1. 1. ლ:b6; № 2. 1. კe2; № 3. 1. ეf5.

დებიუტანტის ორი გოლი

გაიმართა ბრიტანეთის ფეხბურთელთა ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრები. ლონდონის „უემბლის“ მინდორზე მასპინძელი ქვეყნის ნაკრები უელსის ეროვნულ გუნდს შეხვდა. როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში აღვნიშნეთ, ინგლისელებმა პირველი ტურის მატჩი ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებთან ძალიან სუსტად ჩაატარეს და ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ მასპინძელთა მწვრთნელი დონ რივი გარკვეულ ცვლილებებს მოახდენდა თავისი გუნდის შემადგენლობაში. ასეც მოხდა: რევიმ გადაწყვიტა გამოეცადა „იფსვიჩ თაუნის“ ახალგაზრდა თავდამსხმელი დევიდ ჯონსონი. ამ უკანასკნელმა გაამართლა მწვრთნელის იმედები და ორი გოლი გაიტანა უელსელთა მეკარე დევისის კარში.

ჩვენ უკვე ვწერდით უელსის ნაკრების კარგ თამაშზე. ამ გუნდმა ამჯერადაც ისახელა თავი და არათუ ქულა აართვა გამოცდილ მეტოქეს, არამედ კინაღამ მოუგო კიდეც მას. ანგარიში ჯონსონმა გახსნა, რასაც უელსელებმა ჯონ ტოშაკმა და ჯონ გრიფიტსმა ორი გოლით უპასუხეს. ბოლოს იმავე ჯონსონმა წაგებას გადაარჩინა თავისი გუნდი — 2:2.

მეორე მატჩში შოტლანდიის ნაკრებმა შინ დაამარცხა ჩრდილოეთირლანდიელები და 3 ქულით სათავეში ჩაუდგა გათამაშების ცხრილს. ინგლისელებს და უელსელებს 2-2 ქულა აქვთ, ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდს — 1.

ბოლო ტურში ერთმანეთს შეხვდებიან ინგლისისა და შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები კოლექტივები.

(საქ. ინფ.).

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● ●

არაოფიციალური რეკორდი

წლეულს, როგორც ცნობილია, „გლაზგო რეინჯერსი“ შოტლანდიის ჩემპიონი გახდა. როგორც სტატისტიკოსები იუწყებიან, ეს არის „გლაზგო რეინჯერსის“ 35-ე გამარჯვება შოტლანდიის ჩემპიონატების 102-წლიან ისტორიაში, რაც თავისებური არაოფიციალური მსოფლიო რეკორდია.

მკაცრი საუბარი

აქვთ ჰიმალაის მთებს თავის დამპყრობლებთან. ძალიან ძნელად აზიარებენ ისინი ადამიანებს თავის საიდუმლოს. ძნელად უთმობენ თავის მწვერვალებს

წლევანდელ სეზონში ჯერ მხოლოდ ორმა ექსპედიციამ შეძლო წარმატებით დაემთავრებინა განზრახული შტურმი. ავსტრიისა და დასავლეთ გერმანიის მთამსვლელებმა მოაწყვეს ერთობლივი ასვლა დედამიწის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალ იალუნგკანგზე (8420 მ ზღვის დონიდან). მწვერვალზე, როგორც ნეპალის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, ავიდნენ ავსტრიისა და გფრ-ის წარმომადგენლები.

სამინისტრო, აგრეთვე, იუწყება, რომ დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმა დაიპყრეს იაპონელმა სპორტსმენმა ქალებმა. 17 მაისს, დილის 5 საათზე, იერიში დაიწყეს იუნკო ტაბაიმ (36 წლისაა) და შერპმა ანგ ცერინგმა (27). მწვერვალს მათ 12 საათსა და 30 წუთზე მიაღწიეს, ხოლო პიკიდან სულ 848 მეტრით დაბლა მდებარე საბაზო ბანაკში 16 საათსა და 50 წუთზე დაბრუნდნენ. თუ კარგი ამინდი იქნა, შეიძლება შტურმი მეორე წყვილმა გაიმეოროს.

იაპონელთა ექსპედიციამ 15 კაცის შემადგენლობით ასვლა მოაწყო ტრადიციული სამხრეთის მარშრუტით.

იტალიელებმა დაიწყეს ლხოცზეს (8501 მ) იერიში, მაგრამ გრიგალისა და უხვი თოვლის გამო ასვლა გადაიდო. უკვე 7400 მეტრ სიმაღლეზე ასული მთამსვლელები იძულებული გახდნენ საბაზო ბანაკში დაბრუნებულიყვნენ.

საქმე უტრაგედიოდ არ დამთავრებულა. ნუპცეზეს მწვერვალზე (7879 მ) თოვლის ზვავში მოჰყვა და დაიღუპა ინგლისის ექსპედიციის ორი წევრი. მანამდე ზვავმა იმსხვერპლა ორი იაპონელი მთამსვლელი და სამი ბარგის მზიდველი შერპი: თავს დაატყდა ღამით მათს კარავს ერთ-ერთ საბაზო ბანაკში. დჰაულაგირიზე (8221 მ) ახალი მარშრუტით ასვლის დანარჩენი მონაწილენი გადარჩნენ.

(საკდესი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

27 მაისს

საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის საქტო დარბაზში (ლენინის ქ. № 87) შედგება შესანიშნავი ქართველი მწერლის, საზოგადო მოღვაწისა და მთამსვლელის ლევან გოთუას დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

დასაწყისი 19 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03746